



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გუჯაბიძე ჯიმშერ ბათლომეს ძე



ბ. გუჯაბიძე

ორდენი (2001).

გუჯაბიძე ჯიმშერ ბათლომეს ძე (30. XI. 1930, ფოთი), ბავშვთა უროლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1987), პროფესორი (2002). 1955 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტი; 1955-58 მუშაობდა მოსკოვის ოლქში ქირურგად. 1969-89 წლებში – საქართველოს უროლოგიისა და ნეფროლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ბავშვთა განყოფილებაში, 1990-იდან არის ამავე განყ-ბის გამგე, თსუ-ის უროლოგიის კათედრის პროფესორი (1998), თსსუ-ის პედიატრიული ფაკ-ტის უროლოგიის კურსის ხელმძღვანელი (1996). 2008-იდან მ. იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრ. საავადმყოფოს ქირურგ. დეპარტამენტის კონსულტანტია. კითხულობს ლექციებს უროლოგიაში ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილ. სახელმწ. უნ-ტის უროლოგიისა და თსსუ-ის ბავშვთა ქირურგიის კათედრებზე. გ. არის მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. 4 მონოგრაფიის ავტორი. მიღებული აქვს ღირსების

თხზ.: თირკმელების და შარდსაწვეთების ანომალიები, თბ., 1978; უროლოგიის ცნობარი, თბ., 1978; ქვედა საშარდე გზების განვითარების ანომალიები ბავშვთა ასაკში, თბ., 1984; შარდსადენი მილი – ურეთრა და..., თბ., 2002.
